პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 12 (400) პარასკევი, 24 მარტი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზაფხულო სპორტულ სეზონს — ღირსეული შეხვედრა!

ჰაერში გაზაფხულის სურნელება ტრიალებს. მწვანე ბალახით შეიმოსა ბილიკები, რომლებზედაც კროსმენები უკვე საწვრთნელ გარბენებს ატარებენ. დაძაბული საზამთრო ვარჯიშის შემდეგ საფეხბურთო მინდვრებზე გამოვიდნენ გუნდები და პირველ ამხანაგურ მატჩებში თავიანთი მომზადების დონე მოსინჯეს. ჩოგბურთის ღია მოედნებზე მომავალი შეჯიბრებებისათვის ემზადებიან სპორტსმენები, კალათბურთელებმა და ფრენბურთელებმა ჰაერში შეისროლეს ბურთი..

ახლოვდება სპორტული ზაფხული, რომელსაც თავისი დაძაბულობით, მიმზიდველობითა და ინტერესით წელიწადის არც ერთი დრო არ შეედრება. მალე ჩანჩქერივით აჩქეფდება სპორტული ცხოვრება სტადიონებსა და კორტებზე, მოედნებსა და წყალჯომარდობის ბილიკებზე.

შესანიშნავი მაჩვენებლებით დაამთავრეს საქართველოს ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა გასული წელი. მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობა, სპორტული ოსტატობის შემდგომი ზრდა, ფიზკულტურულ ნაგებობათა ქსელის გაფართოება, ახალი კოლექტივების ჩამოყალიბება, არსებული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცება, მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადება... აი, მთავარი საკითხები, საითკენაც იყო გამახვილებული ყურადღება და უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა წარმატებით შეასრულეს თავიანთი პატრიოტული მოვალეობა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის ისტორიული დადგენილების განუხრელად ცხოვრებაში გატარება — აი იმ გამარჯვებათა დედაბოძი, რომლებიც მოვიპოვეთ ჩვენ გასული წლის სპორტულ სეზონში.

ამავე დროს 1949 წელს საბჭოთა სპორტსმენების წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი ერთმა გარემოებამ — ჩვეულებრივზე ადრე გაიხსნა შარშან საზაფხულო სეზონი და ჩვეულებრივზე გვიან დაიხურა იგი.

საქართველოს ფიზკულტურელთა მრავალრიცხოვანი არმია ამ მხრივ მეტად ხელსაყრელ პირობებში არის. ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური პირობები სუფთა ჰაერზე ვარჯიშის საშუალებას იძლევა თითქმის მთელი წლის მანძილზე. მიუხედავად წლევანდელი მკაცრი ზამთრისა, უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის სპორტსმენებმა მაქსიმალურად გამოიყენეს ეს შესაძლებლობა. გარდა ამისა, სერიოზული სასწავლო საწვრთნელი ვარჯიში ჩაატარეს დახურულ დარბაზებში ფეხბურთელებმა (თბილისის „დინამო", „სპარტაკი", ოფიცერთა სახლი, ქუთაისის „ტორპედო" და სხვ.), მძლეოსნებმა, ძალოსნებმა, მოჭიდავეებმა, ჩოგბურთელებმა, კალათბურთელებმა, მოკრივეებმა.

ამჟამად მთელი ჩვენი ძალღონე საზაფხულო სპორტული სეზონისათვის ღირსეულ მომზადებას უნდა მოვახმაროთ. ხომ ნათელია, რომ მომზადების ხარისხიანობაზე დამოკიდებულია მასობრივი ფიზკულტურის შემდგომი განვითარება, ახალი რესპუბლიკური, საკავშირო და მსოფლიო რეკორდების დამყარება. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს!

ახალი სეზონისათვის კარგად მოემზადა თბილისის სპორტული ორგანიზაციების უმრავლესობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასპორტო ბაზების შეკეთებასა და კეთილმოწყობას (ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონი, საჩოგბურთო სტადიონი და სხვ.). ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე სუსტად ხვდება სეზონს დედაქალაქის კალათბურთის სტადიონი. ნელი ტემპებით ემზადება სეზონისათვის ბათუმის „დინამოს" სტადიონი, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტული ბაზა და სხვ. სეზონისათვის მზადების მხრივ ცუდი მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთში, ლაგოდეხის, ზესტაფონის და სხვა რაიონებში.

ამ დღეებში საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილეს საზაფხულო სპორტული სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებით კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი. მიღებული დადგენილება გვავალებს კიდევ უფრო ავამაღლოთ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის დონე, ვამრავლოთ მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა რიგები, ვიბრძოლოთ ახალი რეკორდებისათვის.

კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ვალია პირნათლად განახორციელონ ამ დადგენილებით დასახული ღონისძიებანი, სისტემატურად შეამოწმონ მისი შესრულების მიმდინარეობა და დროულად აღმოფხვრან საზაფხულო სპორტული სეზონის მზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

ახალი სპორტული სეზონი ჩვენს რესპუბლიკაში წელს ჩვეულებრივზე ადრე — 2 აპრილს იხსნება. გაზაფხულის თბილი დღეები უკვე გვიხმობს მოედნებსა და სტადიონებისაკენ.

აღვნიშნოთ 1950 წლის სპორტული სეზონი ახალი მიღწევებით!

## ვამზადებთ ახალ კადრებს

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც ბათუმში ჩამოყალიბდა სპეციალიზებული სპორტული სკოლა, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა ქალაქის ახალგაზრდობაში წყალჯომარდობის დასანერგად.

1949 წელს სკოლის 10 მოსწავლემ მოიპოვა ქალაქის ჩემპიონობა სხვადასხვა დისტანციაზე ცურვაში, ხოლო ნადეჟდა სამოილოვა საქართველოს ჩემპიონი გახდა ბრასის სტილით ცურვაში. გარდა ამისა სკოლის მოსწავლეებმა გასულ სპორტულ სეზონში დაამყარეს აჭარის 16 და საქართველოს 2 რეკორდი.

1949 წლის საქართველოს პირველობაში ბათუმის მოცურავეთა და წყალბურთელთა გუნდმა, რომელიც ძირითადად სკოლის მოსწავლეთაგან იყო დაკომპლექტებული, მეორე ადგილი დაიკავა ცურვაში და პირველი ადგილი წყალბურთში. წელს სკოლა შეივსო ახალი მოსწავლეებით, რომელთა უმრავლესობას ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მუშები შეადგენენ.

ახლა სკოლა გულმოდგინედ ემზადება საზაფხულო სპორტული სეზონისათვის. მოსწავლეები მეცადინეობენ „დინამოს" წყალჯომარდობის სადგურში, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით. სკოლის მწვრთნელები მოსწავლეთა შემადგენლობიდან ცურვასა და წყალბურთში მსაჯებს ამზადებენ.

პ. იოსელიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
ბათუმი.

## სეზონის გახსნის ჯილდოზე

26 მარტს თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ხსნის 1950 წლის საფეხბურთო სეზონს „სეზონის გახსნის გათამაშების ჯილდოზე".

დედაქალაქის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე აღიმართება 1950 წლის ფეხბურთის სეზონის გახსნის ალამი. სადღესასწაულო აღლუმის შემდეგ გუნდები შეეჯიბრებიან ერთმანეთს მძლეოსნობაში — 60 მეტრზე რბენაში და შემხვედრ ამანათრბენში. ინტერესს იწვევს შეჯიბრება ბურთის დაუფლების ტექნიკაში.

შემდეგ დაიწყება მატჩები. დებულების თანახმად თბილისის ფეხბურთის სეზონის გახსნის გათამაშებაში გამარჯვებული კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს გუნდების შეჯიბრებაში სეზონის გახსნის ჯილდოზე.

# მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაია

## საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით აუწყებენ პარტიასა და ყველა მშრომელთ, რომ 19 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე მოსკოვში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ამხ. მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაია.

მ. გ. ცხაკაიას დაკრძალვა, საქართველოს სსრ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თხოვნით, მოხდება ქალაქ თბილისში.

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით აუწყებენ პარტიულ ორგანიზაციებს და საქართველოს ყველა მშრომელთ, რომ 1950 წლის 19 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე ქალაქ მოსკოვში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწე, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამწყები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი საქართველოს სს რესპუბლიკისაგან

ამხანაგი მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაია.

## მ. გ. ცხაკაიას ცხედრის ჩამოსვენება თბილისში

გუშინ, 23 მარტს მოსკოვიდან თბილისში ჩამოასვენეს ბოლშევიკური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწის, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამწყების მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაიას ცხედარი.

მ. გ. ცხაკაიას ცხედრის შესახვედრად თბილისის ვაგზალში მოვიდნენ საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფაბრიკებისა და ქარხნების მშრომელთა დელეგაციები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, სტუდენტები და მოსწავლეები.

ვაგზალზე არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, მ. ბარამია, ა. თოფურიძე, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. შადური, არმიის გენერალი ა. ანტონოვი, გ. ზამბახიძე, ვ. ბაქრაძე, ნ. რუხაძე, ე. ჩერქეზია, თ. ქვლივიძე, ა. ჯიშიაშვილი და სხვები.

...სამგლოვიარო მარშის ჰანგებში ვაგზლის პერონს მოადგა მატარებელი. ვაგონიდან გადმოდიან მ. გ. ცხაკაიას დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან გამომგზავრებული ამხანაგები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. დანილოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის მდივანი პ. ლეონოვი, აგრეთვე მ. გ. ცხაკაიას დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრები ვ. გოგუა, ვ. ეგნატაშვილი და მ ლელაშვილი, რომლებიც გორიდან მოაცილებენ მ. გ. ცხაკაიას ცხედარს.

ამხანაგებს კ. ჩარკვიანს, ზ. ჩხუბიანიშვილს, ა. გორკინს, ნ. დანილოვს, ვ. გოგუას, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებს მ. გ. ცხაკაიას კუბო გადმოაქვთ ვაგონიდან. გაისმის შოპენისა და ბეთჰოვენის სამგლოვიარო მელოდიები.

...სამგლოვიარო პროცესია თბილისის ოფიცერთა სათლქო სახლთან მივიდა. მ. გ. ცხაკაიას კუბო დარბაზში შეასვენეს და ცოცხალ ყვავილებსა და პალმებს შორის მაღალ პოსტამენტზე დადგეს.

დღეს მთაწმინდის პანთეონში მოხდება მ. გ. ცხაკაიას დაკრძალვა.

## გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა

ამ დღეებში ქალაქ იაროსლავლში დამთავრდა შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში „ბოლშევიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

უძლიერესთა ასპარეზობაში ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ბოლშევიკის" საკავშირო ჩემპიონის წოდება მოიპოვა საქართველოს ძალოსანთა გუნდმა.

## 8 ქალაქის მატჩი ფრენბურთში

აპრილის პირველ ნახევარში ქ. ხარკოვში ჩატარდება საბჭოთა კავშირის 8 ქალაქის უძლიერესი ფრენბურთელთა გუნდების ტრადიციული მატჩი.

თბილისის ვაჟთა ნაკრები გუნდი 15 დღიანი საწვრთნელი შეკრების შემდეგ გაემგზავრა მოსკოვს, სადაც იგი რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის საუკეთესო კოლექტივებთან, რის შემდეგ გუნდი ჩავა ხარკოვს.

გუნდის შემადგენლობაში არიან სპორტის ოსტატები საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები გ. ახვლედიანი და ს. ტარახჩიანი, ვ. თელია, გ. სტეპანოვი, ე. რომანინი, პ. კაპლიევი, კ. სპეშნიოვი, თ. ყიფიანი და ი. ივლევი.

## 2 აპრილი — სეზონის პირველი დღეა

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „1950 წლის სპორტული სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებით კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ". საზაფხულო სეზონისათვის მზადება ადგილობრივი კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ფრიად სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. მის წარმატებით ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული მიმდინარე წელს სპორტში ახალი მიღწევების მოპოვება, მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობა.

საზაფხულო სპორტული სეზონისათვის მზადებამ უნდა უზრუნველჰყოს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში, კოლექტივებისა და წრეების საქმიანობის გაუმჯობესება, მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა, სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადება და ახალი რეკორდების დამყარება.

ამ მიმართულებით კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი. ა. წ. 25 მარტისათვის ადგილებზე უნდა განხილულ და დამტკიცებულ იქნეს რაიონში, ქალაქში, ოლქში საზაფხულო სპორტული სეზონისათვის მზადებისა და მისი ჩატარების გეგმა. პირველ აპრილამდე მოეწყობა რეიდები სპორტულ ნაგებობათა და ბაზების მდგომარეობის შესამოწმებლად. ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით ისინი სრულ წესრიგში უნდა იქნენ მოყვანილი. ამ მიზნით 20 მარტიდან ადგილებზე ტარდება სპორტული ბაზების კეთილმოწყობის ერთთვიური.

# სანიმუშოდ მოვემზადოთ მოახლოებული ასპარეზობებისათვის

⊙

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

⊙

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშთ ნიშანზე ნორმების ჩაბარებას, რისთვისაც ფართოდ მოეწყობა შეჯიბრებანი მშთ მრავალჭიდში.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაავალეს კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს 2 აპრილს ქალაქებსა და რაიონებში, აგრეთვე ძირეულ კოლექტივებში ჩაატარონ მასობრივი ღონისძიებები, შეჯიბრებები, სპორტული ზეიმები და საღამოები.

ზაფხულის სპორტული სეზონის პერიოდში კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1950 წლის გეგმების შესრულებას, შეჯიბრებათა და შეხვედრების მაღალ დონეზე ჩატარებას, საუკეთესო სპორტულ-ტექნიკური შედეგების მოპოვებას.

ადგილობრივ ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებს დაევალათ ორგანიზაციულად განამტკიცონ არსებული ძირეული კოლექტივები.

პრაქტიკაში უნდა იქნეს შემოღებული შიდასაკოლექტივო, რაიონული, საქალაქო და საოლქო კონკურსების ჩატარება მძლეოსნობაში, ცურვაში, სიმძიმეების აწევასა და სპორტის სხვა სახეებში.

ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით ადგილებზე ფართოდ უნდა მოეწყოს მარტივი ტიპის მოედნებისა და ბაზების მშენებლობა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ კოლექტივს ჰქონდეს საკუთარი მარტივი სპორტული ბაზა.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქალაქების თბილისის, ფოთისა და რუსთავის, მცხეთის, ახალციხის, გორის, კასპის, ხაშურის, წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის, აბაშის, ცხაკაიას, ზესტაფონის და სხვა რაიონების კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაევალათ განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინონ წყალჯომარდობის განვითარებისადმი.

დადგენილება გვავალებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სპორტსმენთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, მათი იდეური დონის ამაღლებას, კომუნისტური მორალისა და პატრიოტული გრძნობის განმტკიცებას.

# საბჭოთა მოციგურე ქალები უძლიერესნი არიან მსოფლიოში

### რ. ჟუკოვას ორი მსოფლიო რეკორდი





17 მარტს ქ. კიროვში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოციგურეთა შეჯიბრება. ეს დღე საბჭოთა სპორტის ისტორიაში შევა, როგორც ბრწყინვალე გამარჯვების დღე. საუცხოო ფორმაში მყოფმა რიმა ჟუკოვამ შესანიშნავი წარმატება მოიპოვა — ორი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ჟუკოვამ 1.500 მეტრზე აჩვენა 2:36,7, რაც 12 წლის წინათ ნორვეგიელ ლ. ნილსენის მიერ დამყარებულ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს 1,4 წამით აღემატება. მცირე ხნის შესვენების შემდეგ ჟუკოვამ გაირბინა 5.000 მეტრი და ისიც სარეკორდო დროში — 9:22,4 (ოფიციალური მსოფლიო რეკორდი — 9:26,8 — ვერნე ლეშე).

რ. ჟუკოვას შედეგები დასამტკიცებლად გადაეგზავნება მოციგურეთა საერთაშორისო ფედერაციას.

ამჟამად საბჭოთა მოციგურე ქალებს 6 მსოფლიო რეკორდიდან უკვე 4 ეკუთვნით.

**სურათებზე:** (მარცხნივ) მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი სპორტის დამსახურებული ოსტატი მარიამ ისაკოვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოპოვებულ ჯილდოებთან; (მარჯვნივ) მსოფლიო რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი რიმა ჟუკოვა.

ფოტო ლ. დორენსკისა (საკდესი).

# ვიბრძოლოთ ახალი მიღწევებისათვის

ქ. თბილისის ფიზკულტურული აქტივის კრებამ, რომელიც ამ დღეებში შედგა, მოისმინა და განიხილა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ი. ყანჩელის მოხსენება „სპორტულ მუშაობაში გასული წლის შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები“.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილების და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, გასულ წელს სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული დავალებები ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს. 1949 წელს მომზადებულ იქნა 57.576 მშთ ნიშნოსანი, ამჟამად რესპუბლიკის ფიზკულტურულ კოლექტივებში ირიცხება 329.440-ზე მეტი კაცი.

მთელ რიგ საკავშირო შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს: თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივმა მოიპოვა საკავშირო თასი, თავისუფალი და სამბოს სტილით მოჭიდავეთა გუნდებმა მეორე ადგილი დაიკავეს, სასტენდო სროლაში კოლექტივმა მესამე ადგილი აიღო და სხვ. ჩვენმა 15 მოწინავე სპორტსმენმა, მათ შორის ნ. დუმბაძემ, დ. ციმაკურიძემ, შ. ნოზაძემ, შ. დაუშვილმა, ე. ქარქუსაშვილმა, ქ. ნინიაშვილმა, გ. ხანუკაშვილმა, ვ. სვეტილკომ და სხვებმა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება. საკავშირო რეკორდები დაამყარეს ე. გოკიელმა და ნ. ხნიკინამ.

მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა მასობრივ-ფიზკულტურულ და საწვრთნელ-სპორტულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული საწვრთნელი მუშაობა სპორტის ზოგიერთ სახეში, რის გამოც საკავშირო შეჯიბრებებში საქართველოს წარმომადგენლებმა დაბალ მაჩვენებლებს მიაღწიეს. მაგალითად, მძლეოსნები მხოლოდ მერვე ადგილზე გამოვიდნენ, ნიჩბოსნები — მეთორმეტეზე,ველოსიპედისტები—მეცამეტეზე.

ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს დისციპლინის განმტკიცება როგორც მწვრთნელ-მასწავლებელთა, ისე სპორტსმენთა ფართო მასებში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენები საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გამოდიან მეორე ნებაყოფლობითი საზოგადოების სახელით. ხდება ასეც: ფიზკულტურელი მოკლე დროის განმავლობაში შემოივლის ხოლმე რამდენიმე სპორტულ ორგანიზაციას, ამასთან იგი არ იცავს ერთი ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლის არსებულ წესებს.

საზამთრო საცურაო აუზის უქონლობა ხელს უშლის ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეებს მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიონ საკავშირო შეჯიბრებებში. ღია ცის ქვეშ ზაფხულის პერიოდში ჩატარებული წვრთნა, ცხადია, საკმარისი არ არის. უნდა გამოვნახოთ წვრთნის ახალი მეთოდები ზამთრის პირობებშიც. საჭიროა მოეწყოს „მშრალი ცურვის“ დარბაზები. ამ მხრივ გასულ წელს ჩატარებულმა პრაქტიკულმა მუშაობამ საუკეთესო შედეგები მოგვცა.

არასახარბიელო სურათია კრივის და ჭიდაობის განვითარების საქმეშიც.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებს მთელით რთული ამოცანების გადაწყვეტა. წელს რესპუბლიკაში ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი უნდა გაიზარდოს 6.275-მდე, რომლებშიც ჩაბმული უნდა იქნეს 345.400 ფიზკულტურელი; უნდა მომზადდეს მშთ 75.100 I საფეხურის, 8.570 II საფეხურის და 26.000 იმშთ ნიშნოსანი, აგრეთვე პირველი თანრიგის 470, მეორე თანრიგის 1.670 და მესამე თანრიგის 9.950 სპორტსმენი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ამხ. მ. ცხვედაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ამხ. კ. ზაუტაშვილმა, სპორტული საზოგადოება „პიშჩევიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. კაზირიამ და სხვ., სულ 12 კაცმა.

კრების შედეგები შეაჯამა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფარულავამ.

დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი.

## ჩვენი ფოსტა

### გველირსება თუ არა სტადიონი?

ოდესღაც სოფელ ჯაგან-ქყვიშის (ვანის რაიონი) ახალგაზრდებს ჰქონდათ საკუთარი ძალებით მოწყობილი სასპორტო მოედანი. აღნიშნული სტადიონი კოლმეურნეობამ გამოიყენა... საყანე ფართობად. ადგილობრივმა ახალგაზრდობამ, რომელიც ძალზე გატაცებულია სპორტით, ამ მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად თხოვნით მიმართა ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტს, მაგრამ ამაოდ.

ამის გამო მამხილებელი წერილიც კი გამოქვეყნდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, რის შედეგადაც კოლმეურნეობის გამგეობამ ვალდებულება იკისრა, რომ სტადიონს 1949 წლის 7 ნოემბრამდე აღადგენდა, მაგრამ 1949 წელიც გავიდა.

1950 წლის საზაფხულო სეზონი კარზეა მომდგარი, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობას ჯერ არც კი უფიქრია სტადიონისათვის მიწის სათანადო ნაკვეთის გამოყოფა.

კვლავ მივმართავთ ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტს შეკითხვით — გველირსება თუ არა სტადიონი?

**ნ. კიკაბიძე,**
**ვ. კლარჯეიშვილი.**

სოფ. ჯაგან-ქყვიში,
ვანის რაიონი.

### სემინარი

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ ბათუმის რაიონულმა საბჭომ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ი. ჭანკურიძე) მოაწყო ფიზკულტურის ძირეული კოლექტივებისა და საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მოსამზადებელი 10 დღიანი სემინარი, რომელშიც მონაწილეობდა 43 კაცი.

სემინარი ორგანიზებულად და ნაყოფიერად ჩატარდა.

**ხ. პარკაძე**

ბათუმი.

### მოკლე ცნობები

**გორი.** ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტში ჩატარდა შეჯიბრება ფარიკაობაში, რომელშიც 40-ზე მეტი სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. გამარჯვება მოიპოვეს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მოფარიკავე სტუდენტებმა.

**გ. ანიკაშვილი**

* * *

**ზესტაფონი.** რკინიგზის კლუბში ჩატარდა სპორტული საღამო ვაჟთა საშუალო სკოლების, პედსასწავლებლისა და აგროტექნიკუმის მოსწავლეთა მონაწილეობით. გამოვიდნენ ტანმოვარჯიშეები, მოკრივეები და მოფარიკავეები.

**გ. გიგაშვილი**

# მწვრთნელი და ხალხის ოსტატები

მწვრთნელისა და სპორტსმენთა ჯანსაღ, მათ შორის პატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობაზე ბევრადაა დამოკიდებული კოლექტივის წარმატება. აქედან გამომდინარეობს აღმზრდელის მოვალეობაც — მუდამ ტრიალებდეს თავისი გუნდის წევრებთან, ღრმად იცნობდეს მათ ჩვევებს ყოველდღიურ ცხოვრებასა და მუშაობაში, ასწავლიდეს და უზიარებდეს თავის გამოცდილებას.

ეს მით უმეტეს ითქმის ჭიდაობის ისეთ რთულ სახეზე, როგორიცაა სამბო, რომელიც საბჭოთა კავშირის ეროვნულ ჭიდაობათა თითქმის ყველა სახეს შეიცავს და თავის არსენალში ხუთი ათასზე მეტ ფანდს ითვლის!

მწვრთნელისა და კოლექტივის ხელიხელჩაკიდებული მუშაობა, მაღალი დისციპლინა, ჩატარებული საწვრთნელი ვარჯიშების ხარისხიანობა ვლინდება შეხვედრებში, რომელიც გამოცდას წარმოადგენს მწვრთნელისთვისაც და გუნდისთვისაც.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ საქართველოს ნაკრები გუნდის გამოსვლას საკავშირო პირველობაზე ლენინგრადში გასული წლის ოქტომბერს, დავინახავთ, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე ვერ არის. აქ ჩვენი რესპუბლიკის სამბისტების ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. ტურნირის ცხრილში ეს თავისთავად ცუდი ადგილი როდია, მაგრამ ამ შედეგებმა სპორტულ საზოგადოებრიობაში მაინც აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, ვინაიდან საქართველოს მოჭიდავეებს საკავშირო პირველობის მოპოვების უდაო შანსები ჰქონდათ, მაგრამ ეს შესაძლებლობა მათ დაჰკარგეს.

გამოეხმაურა რა ამხ. ლ. გიორგაძის წერილს „გავამახვილოთ ყურადღება სპორტსმენის აღზრდის საკითხებისადმი“, რომელიც „ლელოში“ დაიბეჭდა, გუნდის მწვრთნელმა ამხ. თომაშვილმა ცალმხრივად გააშუქა ეს საკითხი. კოლექტივის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი მან რატომღაც მხოლოდ სპორტის ოსტატს ამხ. გ. როსტიაშვილს გადააბრალა. რასაკვირველია, ძალიან ცუდად მოიქცა ამხ. როსტიაშვილი, როცა დასკვნით პარადში არ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ამ ერთი უარყოფითი ფაქტით გულმემატკივარ მწვრთნელს განა შეეძლო ხელაღებით უარეყო სპორტის ოსტატის დადებითი თვისებები და მის წინაამდეგ ცილისწამებათა ხვავი დაეყენებინა? ცხადია, არა! ეს ასე არ მოხდებოდა, რომ ამხ. თომაშვილს ყოველი სპორტსმენისადმი ინდივიდუალური მიდგომა ჰქონოდა.

წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ამხ. თომაშვილის წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეიცავენ. მერე ვინ არის ყოველივე ამაში დამნაშავე? უპირველეს ყოვლისა, თვით მწვრთნელი! იგი არა მარტო უნდა ასწავლიდეს, ზრდიდეს ხალხის ოსტატებს, არამედ გულისხმიერად ყურს უგდებდეს მათ, ხელს უწყობდეს ჯანსაღი კრიტიკის დანერგვას და ასწორებდეს ნაკლოვანებებს. გასაკრიტიკებელი კი მის... [illegible] რომ მართლაც იყო, რაზედაც ამხ. როსტიაშვილმა და გუნდის წევრებმა რამდენჯერმე გაამახვილეს მწვრთნელის ყურადღება.

აი, მაგალითი. საწვრთნელი ვარჯიშები მცხეთაში სექტემბერში დაინიშნა. ამხ. თომაშვილი მივიდა ადგილზე, დაათვალიერა შეკრების ადგილი და მეორე დღესვე წამოვიდა თბილისში „სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად“. 9 ოქტომბრამდე ვარჯიშებზე იგი არავის უნახავს. ფაქტიურად მის სამუშაოს მოჭიდავეები ნინიაშვილი და როსტიაშვილი ასრულებდნენ. მხოლოდ საქმისადმი ამხ. თომაშვილის ზერელე მიდგომით აიხსნება, რომ 13 დღის განმავლობაში ვარჯიში მხოლოდ ექვსჯერ ჩატარდა!

ასევე მრავალი ნაკლი გაჩნდა გუნდს ლენინგრადში ჩასვლის შემდეგაც.

ამხ. თომაშვილი ასპარეზობას მხოლოდ შეჯიბრების ბოლო დღეებში ესწრებოდა. იგი სისტემატურად არ აწარმოებდა შედეგების აღრიცხვას, არ ატარებდა ახსნა-განმარტებითსა და აღმზრდელობით საუბრებს.

ამრიგად ნაცვლად იმისა, რომ მიეღო გუნდის წევრთა, კერძოდ ამხ. გ. როსტიაშვილის კრიტიკული შენიშვნები და აქედან სწორი დასკვნა გაეკეთებინა, ამხ. თომაშვილი ცალმხრივად გამოეხმაურა „ლელოს“ ფურცლებზე გაშლილ აზრთა გაცვლა-გამოცვლას სპორტსმენის აღზრდის საკითხებზე. სწორედ ამხ. როსტიაშვილის კრიტიკული შენიშვნების მიუღებლობისა და ცალმხრივი გამოხმაურების გამოვლინება იყო ამხ. თომაშვილის წერილი, რომელიც მოთავსებული იყო „ლელოს“ გასული წლის დეკემბრის ერთერთ ნომერში. ამიტომაა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა ამხ. თომაშვილს და გააფრთხილა, რომ „მსგავსი მოქმედების განმეორების შემთხვევაში მის მიმართ მიღებული იქნება უფრო მკაცრი ზომები, მწვრთნელ-აღმზრდელად მუშაობის აკრძალვამდეც კი“.

ამხ. თომაშვილის საქციელი — გამონაკლისია. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში ადგილი არ ჰქონდეს ამ ერთეულ არაჯანსაღ გამოვლინებასაც კი. ასეთია ის დასკვნა, რომელიც ჩვენი გაზეთის ფურცლებსა და სპორტსმენთა შორის გაშლილ აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე უნდა გამოვიტანოთ.

სპორტსმენთა გამარჯვება მწვრთნელის წარმატებაც არის! აი, რა არ უნდა დავივიწყოთ. ამიტომ მათ ტექნიკურ სრულყოფასთან ერთად მწვრთნელი მოვალეა ფართოდ გაშალოს თავის აღსაზრდელებთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, დანერგოს მათში საბჭოთა სპორტსმენის ჩვევები, გამოაწრთოს ისინი კომუნიზმის აქტიურ მშენებლებად.

**ი. ოქროპირიძე**

# დუმილი თანხმობის ნიშანია?!

ჩვენი ქვეყნის სოფლის რაიონებში მრავლადაა ფიზიკურად ძლიერი ადამიანები, რომლებსაც რეგულარული მეცადინეობით შეუძლიათ დაეუფლონ მაღალ ტექნიკას, გახდნენ სპორტის ოსტატები.

სოფლის ძალოსანთა გამოსავლინებლად და რაიონებში ძალოსნური სპორტის დანერგვის მიზნით ყოველწლიურად ტარდება საკავშირო კონკურსი — მასობრივი შეჯიბრებები სიმძიმეების აწევაში, რაც დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს.

22 მარტს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში ჩატარდა თათბირი, რომელიც მიეძღვნა კონკურსის რესპუბლიკური ფინალისათვის მზადების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტმა დროულად გამოჰყო კონკურსის ჩამტარებელი კომისია სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. კასიანიკის თავმჯდომარეობით, რაიონებს ქართულ და რუსულ ენებზე დაუგზავნა დებულებები, სახელმძღვანელო წერილი, ახსნა-განმარტებითი ბარათი და პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად მიავლინა სპორტის ოსტატები, კონკურსისათვის მზადებამ მაინც არ მოგვცა სათანადო შედეგი. ეს იმიტომ, რომ მთელი რიგი რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტები შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენდნენ ამ საქმისადმი და ახლა ცდილობენ თავიანთი უმოქმედობა სხვადასხვა „ობიექტური“ მიზეზებით ახსნან და დაფარონ.

კონკურსში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს აფხაზეთმა, აჭარამ, სამხრეთ ოსეთმა, თბილისის გარეუბანმა, ჭიათურამ და ახალციხემ, რაც ამ ოლქებსა და რაიონებში მივლინებული ამხანაგების (მ. კასიანიკი, ი. გელოვანი, ა. გალიანი) და ადგილობრივი ფიზკულტურული მუშაკების ენერგიული საქმიანობის შედეგია.

გაკვირვებას იწვევს გურჯაანის, დუშეთის, თელავის, ზუგდიდის, ხონის, ხატაურისა და ვანის რაიონებიდან მიღებული დეპეშები. ისინი უარს აცხადებენ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე იმ მოტივით, თითქოს მათ არ მოეპოვებათ საჭირო სავარჯიშო იარაღები... საინტერესოა, გრძნობენ თუ არა ამ რაიონების ხელმძღვანელი ფიზკულტურული მუშაკები, რაოდენ უსუსურია მათი თავისმართლება?

ამბობენ: დუმილი თანხმობის ნიშანიაო. სამწუხაროდ, დუმილი ყოველთვის როდი ნიშნავს თანხმობას. ეს ანდაზა სისრულით შეეხება ცხაკაიას, გორის, მახარაძის, ზესტაფონის, ხაშურის, ონის, ლანჩხუთის და წითელწყაროს რაიონებს. სჩანს, ამ რაიონებმა უარი განაცხადეს კონკურსში მონაწილეობაზე და უხერხულობის თავიდან ასაცილებლად (!) დეპეშების გამოგზავნისათვისაც კი არ შეიწუხეს თავი.

საჭიროდ ვცნობთ აქვე დავსვათ ერთი კითხვა. რა გააკეთეს მივლინებულმა ამხანაგებმა გ. კოშაძემ (გორი) და ს. გელაძემ (ლანჩხუთი)? როგორც სჩანს, არაფერი! ისინი ჩავიდნენ რაიონში, დაჰყვეს იქ განსაზღვრული დრო და უკან დაბრუნდნენ. ამით ამოიწურა მათი „მუშაობა“.

თათბირმა მხედველობაში მიიღო კონკურსის ფინალისათვის მზადების არადამაკმაყოფილებელი შედეგები და საფინალო შეჯიბრება ნაცვლად 1-2 აპრილისა, გადაიტანა 14-15 აპრილისათვის, აგრეთვე საჭიროდ სცნო მზადებაში ჩამორჩენილი რაიონებისათვის დახმარების გასაწევად და მუშაობის გამოსაცოცხლებლად თბილისიდან გაეგზავნონ ძალოსნობის ოსტატები.

# როდის იწყებს ბავშვი ფეხბურთის თამაშს[*]

**ბორის პაიჭაძე**
სპორტის დამსახურებული ოსტატი

ფეხბურთი ფრიად რთული ხელოვნებაა. მუდამ მოძრავი, მრავალფეროვანი, ცვალებადი და წინააღმდეგობათა გადალახვასთან დაკავშირებული. ამიტომ, რომ სავსებით დაეუფლოს სპორტსმენი ფეხბურთის ურთულეს ტექნიკას, ჩემის აზრით, საჭიროა ბავშვობიდანვე მისი თამაში.

ფეხბურთის თამაშს ბავშვი მაშინ იწყებს, როდესაც იგი სხვისი კარნახის გარეშე ურტყამს ფეხს ბურთს ან რაიმე სხვა საგანს. ხშირად იგი „ვარჯიშს" 3-4 წლის ასაკში ატარებს და თუ მას სხვა სათამაშოებთან ერთად პატარა რეზინის ბურთი გააჩნია, არის შემთხვევები, რომ 6-7 წლის ასაკში ბავშვი საუცხოოთ ეუფლება ფეხბურთის ტექნიკის ზოგიერთ ელემენტს — სწორ დარტყმას, ბურთის გაჩერებას და აკეწვლას და სხვ. ცხადია, ყოველივე ამას ბავშვი მექანიკურად აკეთებს და მისი ამგვარი თამაში ცელქობად უნდა ჩაითვალოს. ამ ასაკში ბავშვს გამიზნული სწრაფვა და მიდრეკილება არა აქვს ფეხბურთისადმი. მაგრამ თუ კი ნორჩი „ფეხბურთელი" შემდგომშიც განაგრძობს ბურთის თამაშს, მაშინ იგი მოზრდილ ასაკში იოლად დაეუფლება ფეხბურთის ტექნიკის რთულ და მრავალფეროვან ხერხებს.

მე მინახავს 6-7 წლის ბავშვები, რომლებიც ზოგიერთ ტექნიკურ ელემენტებს მშვენივრად იყვნენ დაუფლებულნი. ჩემის აზრით საჭიროა ბავშვმა 13-14 წლის ასაკამდე, ე. ი. სანამ იგი საშუალო სკოლის, სპეციალური სპორტსკოლის, ეზოს ან უბნის გუნდში მოხვდება ითამაშოს ბურთი თავისთვის ან რამდენიმე მის ამხანაგთან. ამ დროს ბავშვები ეცნობიან სხვადასხვა ილეთს და ბევრ ელემენტს ითვისებენ.

აქ ისმება კითხვა: ნორჩ ასაკში (12 წლის ჩათვლით) ფეხბურთის თამაში ბავშვის ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის მავნებელი ხომ არ არის? კითხვა სწორათ არის დასმული. ამ ასაკში განსაკუთრებით მიზანშეუწონელია გუნდური თამაში. მაშ, როგორ უნდა ითამაშოს ამ ასაკში ბავშვმა ფეხბურთი ისე, რომ ეს სპორტი მავნებელი კი არა, სასარგებლოც იყოს მისი ნორმალური განვითარებისათვის. შევეცდები გამოვსთქვა ჩემი აზრი: 6 წლიდან 12 წლის ჩათვლით ბავშვები ფეხბურთს უნდა თამაშობდნენ ინდივიდუალურად ან პატარა ჯგუფებად 3-4 ბავშვის შემადგენლობით თავიანთ ეზოში (ყოვლად დაუშვებელია ასფალტზე თამაში), ან თავისუფალ ადგილას მინდორში, სადაც მათ პატარა მოედანიც კი ეყოფათ.

რაში გამოიხატება მათი თამაში? თავით ბურთის გადაცემა, ბურთის კედელზე ან ღობეზე გარტყმა და გაჩერება, ერთმანეთისათვის გადაცემა და ბურთით მოტყუილება. ყოველივე ეს სხვა თამაშობებთან შედარებით ნორჩი ორგანიზმის ნაკლებ ფიზიკურ დატვირთვას იწვევს.

ვფიქრობ, რომ თუ ბავშვები ამ ასაკში რეზინის ან ტყავის პატარა მჩატე ბურთით ყოველდღე ასეთნაირად 40-50 წუთის განმავლობაში ითამაშებენ, ეს ფიზიკური დატვირთვა მათ ნორმალურ განვითარებაზე არავითარ ცუდ გავლენას არ იქონიებს. პირიქით, უკეთესიც კი იქნება მათი გაჯანსაღებისათვის. ასეთი თამაშის ხანგრძლივობა ცვალებადი იქნება ასაკთან შეფარდებით. მაგალითად 11-12 წლის ბავშვმა შეიძლება ივარჯიშოს 50-70 წუთი, თუ ბავშვი შემდეგშიაც განაგრძობს ფეხბურთის თამაშს მის მაღალი კლასის ოსტატად გამოსვლის შანსებს მტკიცე საძირკველი ეყრება.

ყოვლად დაუშვებელია ამ ასაკში გუნდური თამაში (შეჯიბრება), ისიც მოზრდილ მოედანზე, რადგან გუნდური შეჯიბრებით თამაშის დროს ბავშვები აზარტში შედიან და თავისდა უნებურად დიდი ფიზიკური დატვირთვა და ენერგიის დახარჯვა უწევთ. ამან კი შეიძლება ცუდად იმოქმედოს ჩამოუყალიბებელ ორგანიზმზე.

ამ ხნის ბავშვებს კატეგორიულად უნდა დავუშალოთ გუნდური თამაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვებს სრულებით ავუკრძალოთ თამაში, რაც, სამწუხაროთ ხშირად ხდება.

რატომ არის აუცილებელი, რომ ბავშვმა თამაში პატარაობიდანვე დაიწყოს და არა 13-14 წლის ასაკიდან? საკუთარი, ასევე ჩემი კოლეგების პრაქტიკიდან მახსოვს, თუ რარიგ საუცხოო პატარა ფეხბურთელები ვიყავით ჩვენ 13-14 წლის ასაკში, ფეხბურთის ტექნიკის ელემენტებს კარგათ დაუფლებულნი. შემდეგ წლებში ჩვენ უფრო იოლათ, ზუსტად დავამუშავეთ და შევითვისეთ ფეხბურთის ტექნიკის მრავალფეროვანი და მეტად რთული ელემენტები. სწორედ ამაში დიდი როლი შეასრულა ჩვენს მიერ ბავშვობისას ბურთის თამაშმა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ფეხბურთი ძლიერ რთული ხელოვნებაა. ბავშვი, რომელიც იწყებს ფეხბურთის თამაშს 13-14 წლიდან, ვერ ასწრებს ამ რთული თამაშობის ტექნიკის ათვისებას. შემდგომში (უკვე გუნდურ თამაშში) მას უხდება როგორც ტექნიკური ხერხების შესწავლა, აგრეთვე სხვა აუცილებელი მხარეების შეძენა — სისწრაფისა და რეაქციის გამომუშავება, წინააღმდეგობათა გადალახვის უნარის ათვისება და მრავალი სხვა.

და აი ახალგაზრდა დასრულებულ ასაკში გვევლინება არასრულყოფილ სპორტსმენად—საშუალო ფეხბურთელად. იგი ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებს მას უაღრესად განვითარებული და მაღალ დონეზე მდგარი თანამედროვე საბჭოთა ფეხბურთი.

ჩემს მიერ წამოყენებული საკითხი მე გადაჭრილად არ მიმაჩნია და ვთხოვ ყველა ამ საქმის სპეციალისტს, მწვრთნელს, მასწავლებელს, მკითხველებს გამოეხმაურონ ამ წერილს, იქონიონ მასზე მსჯელობა და კრიტიკულად გაარჩიონ იგი.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ბავშვების — ჩვენი მომავალი თაობის — ჯანსაღ აღზრდასთან, რისთვისაც უნდა იბრძოდეს ყოველი მშობელი, მასწავლებელი, ფიზკულტურის მუშაკი, ყოველი საბჭოთა მოქალაქე.

[*] კამათის წესით.



ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა ჩაატარა სასწავლო შეკრება ფეხბურთის მწვრთნელთა მოსამზადებლად. შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებმა. **სურათზე:** შეკრების მონაწილენი ტექნიკური ელემენტების შესწავლისას.

ფოტო კ. ყუფარაძისა.



ალმა-ატაში, კიროვსა და ზლატოუსტში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა სათხილამურო სპორტში.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ — სლალომში ვ. ჩერკასოვი, სწრაფდაშვებაში გ სევერინი, ალპიურ ორჭიდში ა. ფილატოვი; ქალთა შორის ამ სახეებში გაიმარჯვა ე. სიდოროვამ. ხამთო ორჭიდში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ე. სამოხვალოვმა. 40 მეტრიან ტრამპლინიდან ხტომებში გაიმარჯვა ვ. აფანასიევმა.

ბრწყინვალე შედეგს მიაღწია რბენაში 30 კილომეტრზე ვ ოლიაშევმა — 1.53:20 (საკავშირო რეკორდი). მანვე მოიპოვა ჩემპიონის წოდება 50 კმ. რბენაში.

**სურათზე:** ლენინგრადელ სპორტის ოსტატის ე. გრიგასის ნახტომი ტრამპლინიდან.

რესპუბლიკურ კომიტეტში

## მწვრთნელ ამხ. ლ. იოაკიმიდის მუშაობის შესახებ

ცურვაში მწვრთნელ ამხ. ლ. ა. იოაკიმიდის ზამთრის პერიოდში ჩატარებული საქმიანობის შემოწმებით გამოირკვა, რომ იგი მუშაობდა რა ერთდროულად ექვს ადგილზე — სპორტულ ნაგებობათა სამმართველოში, ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალურ საბავშვო სპორტულ სკოლაში, თბილისის განათლების განყოფილების საბავშვო სპორტულ სკოლაში, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაში და სპორტულ საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოში — ღებულობდა ყოველთვიურად საერთო ჯამით 3.397 მანეთ ხელფასს.

ამხ. იოაკიმიდი, იმის გამო, რომ მეტისმეტად გადატვირთული იყო და წააწყდა სიძნელეებს საწვრთნელი მუშაობისათვის სპორტული დარბაზების გამოყოფაში, დაკმაყოფილდა ცურვის დარგში ზაფხულის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგების შეჯამებით და მხოლოდ ანგარიშების შედგენით. ასე, მაგალითად, შემოწმებით გამოირკვა, რომ თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის მოცურავეთა ორი ჯგუფი 1949 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში მეცადინეობდა არარეგულიარულად, ხოლო გასული წლის დეკემბერსა და მიმდინარე წლის იანვარში ჯგუფებმა სავსებით შეწყვიტეს მეცადინეობა, რამაც ხელი არ შეუშალა ამხ. იოაკიმიდის წარედგინა თბილისის განათლების განყოფილებისათვის ტაბელები თითქოს და ჩატარებული მეცადინეობების შესახებ და მიელო ხელფასი 1.086 მანეთის რაოდენობით. ასევე არასწორი საბუთების წარდგენის საშუალებით ამხ. იოაკიმიდიმ მიიღო ხელფასი ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის ახალგაზრდობის სპორტული სკოლიდან და სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოდან, მაშინ როდესაც მას იქ ფაქტიურად საწვრთნელი მუშაობა არ ჩაუტარებია.

ამხ. იოაკიმიდისათვის ხელფასის გაცემის საქმეში ფინანსიური დისციპლინის დარღვევებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე ბავშვთა ცენტრალურ სპორტულ სკოლაში.

სამუშაოსადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, მოცურავეთა სასწავლო ჯგუფების მეცადინეობათა ჩაუტარებლობისა და ჩაშლის, მრავალრიცხოვან შეთავსებებისა და აგრეთვე ფიქტიური ტაბელების წარდგენისათვის ამხ. იოაკიმიდის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. მას დაევალა აგრეთვე ერთი თვის ვადაში უკან დაუბრუნოს თბილისის განათლების განყოფილებას, ახალგაზრდობის სპორტულ სკოლას და „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოს უკანონოდ მიღებული ხელფასი.

რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაავალა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებს სისტემატურად გაუწიონ კონტროლი სასწავლო ჯგუფების მეცადინეობას, სასწავლო-საწვრთნელო მუშაობის დაყენებას, აგრეთვე მწვრთნელთა საქმიანობას. მათვე დაევალათ მწვრთნელთა სამუშაოზე გაგზავნა და მიღება აწარმოონ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის ინსტრუქციის შესაბამისად, კერძოდ, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური, რაიონული და საქალაქო კომიტეტების საგზურებით.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# მწვერვალთა მპყრობელის ნაამბობი[*]



როდესაც საქართველოში მთასვლელთა სპორტის განვითარებაზე ვლაპარაკობთ არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ჯაფარიძეების ოჯახის განსაკუთრებულ დამსახურებას სპორტის ამ ურთულესი და წარმტაცი სახის აღორძინებაში.

სიმონი, ალექსანდრე, ალექსანდრა—აი სამი უშიშარი მთასვლელის სახელი, რომლებმაც, სხვა ქართველ სპორტსმენებთან ერთად საფუძველი ჩაუყარეს ჩვენი მთების შესწავლას, აღზარდეს სპორტსმენთა კადრები და კავკასიონის მთაგრეხილის მკაცრი ბუნება ახალგაზრდობას შეაყვარეს.

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ალექსანდრე ჯაფარიძეს, რომელსაც ჩატარებული აქვს 116 ექსპედიცია და ყოველი მათგანი გამარჯვებითაა დაგვირგვინებული. ამ უშიშარ მთასვლელში განსახიერებული იყო საბჭოთა სპორტსმენისათვის დამახასიათებელი თვისებები: უსაზღვრო პატრიოტიზმი, გამბედაობა, გამარჯვების მტკიცე რწმენა, ამხანაგებისადმი სიყვარული და თავდადება. პროფესიით ინჟინერი, იგი ენერგიულად მუშაობდა საქართველოს ელსადგურების მშენებლობაში, იკვლევდა მდინარეთა სათავეებს. ამავე დროს ალექსანდრე ჯაფარიძე ხელს უწყობდა ექსპედიციებს, რომლებიც იკვლევდნენ კავკასიონის კლიმატურ-მეტეოროლოგიურ აგებულებასა და სხვ.

აი, ამ დაუღალავი სპორტსმენის რჩეული ნაწერები გამოსცა სახელგამმა (რედაქტორი დ. დონდუა). აქ ალ. ჯაფარიძის მიერ მხატვრული, მიმზიდველი ენით აღწერილია მისი ყველა მნიშვნელოვანი ექსპედიცია.

ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს წიგნის პირველი თავი „თეთნულდი", სადაც მოთხრობილია მისი ძმის სიმონის დაღუპვის ამბავი ამ მარად თოვლიანი მწვერვალის მიუვალ კალთებზე. შემდეგ გადმოცემულია, თუ როგორ დაიპყრო მწვერვალი ალექსანდრემ დასთან ერთად... მათ შური იძიეს, დაამარცხეს მიუკარებელი თეთნულდი.

ამ ასვლის შემდეგ ალექსანდრე მტკიცედ გადასწყვეტს ხელი მოჰკიდოს მთასვლელობას. იგი ადგენს მამაცურ გეგმას მრისხანე უშბას დასაპყრობად.

წიგნის ამ ნაწილში („უშბა") დაწვრილებითაა გადმოცემული მწვერვალზე ასვლის სიძნელეები. „არსად არ მინახავს, და არც შეიძლება ასე ხშირი იყოს ზვავები, როგორც აქ, —წერს იგი, — 45 წუთი დავრჩით უნაგირაზე და ამ ხნის განმავლობაში ექვსი თუ შვიდი ზვავი ვიხილეთ ან გავიგონეთ".

ალექსანდრე ჯაფარიძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი, გიო ნიგურიანი შეებრძოლენ უშბას. ბრძოლა სასტიკი იყო. მთასვლელებს რამდენჯერმე უკან დაბრუნებაც კი მოუხდათ, მაგრამ ალექსანდრე ჯაფარიძეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მწვერვალის დაპყრობა. „...აი, ერთი უკანასკნელი გადამწყვეტი შეტევაც. გიო ფეხთ იხდის და ფეხშიშველი ცდილობს კედელზე აცოცებას. მისი ცდა შედეგს აღწევს — შიშველი ფეხები კედელზე მაგრდება, გიო მიცოცავს ზევით და ასწრებს კლდის ბზარში რკინის პალოს ჩარჭობას. ამით გადაწყვეტილი იქნა ჩვენი ასვლის ერთი უძნელესი საკითხთაგანი. კედელი, თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაძლეულ იქნა". უშბამ ქედი მოიხარა მამაც მთასვლელთა წინაშე.

შეუნელებელი ინტერესით იკითხება თავი „პამირის მთებში". აქ აღწერილია არა მარტო ლენინის პიკის დასაპყრობად მოწყობილი ალპინიადის შესახებ, არამედ ავტორი პამირის რაიონის გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ მხარეებსაც ეხება, აგრეთვე მკითხველს აცნობს პამირის მკვლევარებს.

წიგნში მოთავსებულია ჯაფარიძის მიერ დაწერილი ყველა ნარკვევი, სხვადასხვა დროს პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, მის მიერ წარმოთქმული სიტყვები, ავტობიოგრაფია, მისი მთასვლელური ლაშქრობათა ნუსხა, მწვერვალიდან მოხსნილი ბარათების ტექსტები და სხვ.

წიგნი სრულ სურათს იძლევა მამაცი მთასვლელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ყოველი ნარკვევი არა მარტო მხატვრული ნაწარმოებია, არამედ იგი მდიდარი სახელმძღვანელო მასალაა დამწყები მთასვლელისათვის.

ავტორის მიერ ჩამოყალიბებულია საბჭოთა სპორტსმენის მორალური სახე. „ალპინიზმი მოითხოვს განსაკუთრებულ კოლექტიურობას, ისეთ ურთიერთობას ადამიანთა შორის, რომელიც დაფუძნებულია ერთმანეთისადმი სიყვარულსა და პატივისცემაზე, დიდ სამშობლოსათვის თავდადების გრძნობასა და შეგნებაზე, ამხანაგის დასახმარებლად ყოველ პირობებში მზად ყოფნაზე", წერს იგი. ასეთი იყო მუდამ ალექსანდრე ჯაფარიძე და ამ გრძნობას უნერგავდა ყოველ მთასვლელს, რომელიც მასთან ექსპედიციაში მონაწილეობდა.

1945 წელს მამაცი მთასვლელი უშბას კალთებზე დაიღუპა ტრაგიკულად. ერთი წლის შემდეგ მისმა ამხანაგებმა საყვარელი მეგობრის ხსოვნის აღსანიშნავად კვლავ დაიპყრეს კავკასიონის ეს უძნელესი მწვერვალი.

წიგნი „რჩეული ნაწერები" ყველა სპორტსმენმა უნდა წაიკითხოს. აქ ის ნახავს, თუ როგორ უნდა იბრძოლოს ადამიანმა გამარჯვების მოსაპოვებლად, დასახული მიზნისათვის, მშობლიური, საბჭოთა სპორტის სადიდებლად, მისი ავტორიტეტის ასამაღლებლად.

**ი. უზულავა**

[*] ალ. ჯაფარიძე. „რჩეული ნაწერები". თბილისი. სახელგამი. 1949 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკი

## საქართველოს XI ჩემპიონატი

### მეორე ტური

ყველაზე ადრე დასრულდა ინწკირველისა და გიორგაძის შეხვედრა. უკანასკნელმა თამაშის დასაწყისშივე ზედიზედ დაუშვა რამდენიმე შეცდომა, რითაც საუკეთესოდ ისარგებლა ინწკირველმა და უკვე მე-15 სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში კრიხელმა უყურადღებო სვლის შედეგად დამარცხება განიცადა არნშტეინთან. ოსტატობის კანდიდატმა ქარსელაძემ მოუგო მორჩილაძეს, ხოლო ოსტატობის კანდიდატმა სოროკინმა — ფრუიძეს. კარგ ფორმაშია რესპუბლიკის უხუცესი მოჭადრაკე პირველთანრიგოსანი ალამალიანი. ამ დღეს მან მოსაგებ მდგომარეობაში გადადო პარტია ოსტატობის კანდიდატ შიშოვთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

### მესამე ტური

მესამე ტურის შეხვედრებიდან უმრავლესი მწვავე ბრძოლებით ხასიათდებოდა. მორიგი გამარჯვება მოიპოვა ალამალიანმა, რომელმაც დაამარცხა ინწკირველი. ბლაგიძემ მოუგო კირკიტაძეს, სოროკინმა — მორჩილაძეს, გიორგაძემ — გერშკოვიჩს, ფრუიძემ — არზუმანიანს. ყაიმით დასრულდა არნშტეინ-გაგუას და მალაშხია-ტიმოფეევის პარტიები.

### გადადებული პარტიების დამთავრება

18 მარტს შედგა წინა ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება. გაგუამ, რომელსაც ეტლების ენდშპილში გერშკოვიჩის წინააღმდეგ ზედმეტი პაიკი ჰყავდა, ვერ გამონახა სწორი გზა მოგების მისაღწევად და იძულებული გახდა ყაიმით დაკმაყოფილებულიყო. ალამალიანმა დაამარცხა შიშოვი. კრიხელმა მოუგო ბუსლაევს, ბლაგიძემ — მალაშხიას, შიშოვმა — ქარსელაძეს და გიორგაძეს. ინწკირველის და გაგუას შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

### მეოთხე ტური

მრავალრიცხოვან მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ტურნირის ლიდერის ალამალიანის და გერშკოვიჩის შეხვედრა. ალამალიანმა შავებით სუსტად გაითამაშა ესპანური პარტიის დასაწყისი და ჩქარა მძიმე მდგომარეობა მიიღო. გერშკოვიჩმა პარტიის შემდგომი ნაწილიც ძლიერად ჩაატარა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

ბლაგიძემ მოუგო მორჩილაძეს, შიშოვმა — ფრუიძეს, სოროკინმა — არზუმანიანს. პირველთანრიგოსანმა კრიხელმა დაამარცხა ოსტატობის კანდიდატი მალაშხია. ყაიმით დასრულდა არნშტეინ-გიორგაძის პარტია.

### მეხუთე ტური

ამ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ტურნირის ლიდერები ოსტატობის კანდიდატები ბლაგიძე და სოროკინი. ბრძოლამ თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. ბლაგიძე შუა თამაშში რამდენიმეჯერ შეცდა და ინიციატივა სოროკინმა იგდო ხელთ; მან მოიგო პაიკი. თითქმის პარტიის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბლაგიძემ ჰპოვა ერთადერთი გამოსავალი მუდმივი ქიშით ყაიმის მისაღწევად. საკმარისი იყო სოროკინის ერთი უყურადღებო სვლა და ბლაგიძემ თავის მიზანს მიაღწია.

არანაკლები ინტერესი გამოიწვია ალამალიანის და ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის არნშტეინის შეხვედრამ. 18 წლის არნშტეინი უდაოდ ნიჭიერი მოჭადრაკეა, მაგრამ მის თამაშს ახასიათებს სწრაფვა მდგომარეობის გამარტივებისაკენ, რაც ახალგაზრდა მოჭადრაკისათვის სასარგებლო არ არის. ამჯერად იგი ჩქარა გახდა თავისი პასიური თამაშის მსხვერპლი.

დანარჩენ დაფებზე შიშოვმა მოუგო ინწკირველს, არზუმანიანმა — მორჩილაძეს. ტიმოფეევი დამარცხდა ფრუიძესთან. კრიხელი-კირკიტაძეს და ქარსელაძე-გერშკოვიჩის პარტიები ყაიმით დასრულდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

### გადადებული პარტიების დამთავრება

კარგად თამაშობს პირველთანრიგოსანი გაგუა. მიუხედავად იმისა, რომ მას მოუხდა ტურნირის საკმაოდ ძლიერ მონაწილეებთან შებრძოლება, მას ჯერჯერობით არცერთი პარტია არ წაუგია; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მის თამაშში ჯერ კიდევ თავს იჩენს გამოუცდელობა. წინა დღეს მან ხელიდან გაუშვა მოგება გერშკოვიჩთან, დღეს ასეთივე ამბავი დაემართა გადადებული პარტიის დამთავრებისას მალაშხიასთან.

ბუსლაევი თამაშის განუახლებლად დანებდა გაგუას. უსათუოდ სუსტი აღმოჩნდა ასეთი სერიოზული ტურნირისათვის აჭარის წარმომადგენელი მორჩილაძე, რომელმაც ზედიზედ წააგო ხუთი პარტია. ამ დღეს იგი დაამარცხა ფრუიძემ.

ქარსელაძემ მოუგო ინწკირველს, ბუსლაევმა — გიორგაძეს. კირკიტაძე-არზუმანიანის გადადებული პარტია მეორე ტურიდან 134-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა.

ხუთი ტურის შემდეგ ბლაგიძეს, ალამალიანს, შიშოვსა და სოროკინს მოგროვილი აქვთ 4-4 ქულა. მათ თითო ქულით ჩამორჩებიან გაგუა, არნშტეინი, გერშკოვიჩი და ფრუიძე.

* * *

### ტურნირის მონაწილენი

მეგობრული შარჟი

ნახატი მ. ვადბოლსკისა




ა. ბლაგიძე

* * *

### ტურნირის მონაწილენი

მეგობრული შარჟი

ნახატი მ. ვადბოლსკისა




ნ. სოროკინი



თბილისის სტალინის რაიონის სპორტული სკოლის მძლეოსნობის განყოფილების წევრებმა კარგა ხანია დაიწყეს მეცადინეობა სუფთა ჰაერზე. სურათზე: ნორჩი ფიზკულტურელები ატარებენ საწვრთნელ კროსს ხუდადოვის ტყეში. ფოტო ა. ტარასევიჩისა.

## დედაქალაქის მოფარიკავეებთან

დედაქალაქის ფარიკაობის სექციას მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნდა თავის საქმიანობაში. საზოგადოება „სპარტაკში“, „მეცნიერებასა“ და „ლოკომოტივში“ სრულებით არ იყო დანერგილი სპორტის ეს საინტერესო სახე. ამ დარგში თანრიგოსნების მომზადებაც ძალზე ჩამორჩებოდა.

სექციის მუშაობა საქმიანად გააკრიტიკეს ქალაქ თბილისის მოფარიკავეთა აქტივის კრებაზე, რომელიც ამას წინათ შედგა.

შემუშავებულია ღონისძიებანი დედაქალაქში სპორტის ამ სახის ფართოდ დანერგვისა და ფარიკაობის საქალაქო სექციის საქმიანობის გასაძლიერებლად.

კრებამ აირჩია ახალი შემადგენლობა ფარიკაობის საქალაქო სექციისა, რომელშიაც შედიან ა. მეიფარიანი (თავმჯდომარე), ა. ადაროვი, გ. აბრამოვი, ე. კორინთელი, ა. ბათმანოვი.

—○—

## ძალოსანთა შეჯიბრება

**სტალინირი.** (ჩვენი კორ.). ამ დღეებში ჩატარდა საქალაქო შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში, რომელშიც ოთხი სპორტული საზოგადოების 20 უძლიერესი ძალოსანი მონაწილეობდა.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს „ტრუდის“ წარმომადგენლებმა.

თავიანთ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს ა. კოტაევმა, ს. ელბაქიძემ, პ. ჯიოევმა, გ. სალამაძემ, კ. ჩეხოევმა, და ა. ბეკოევმა.

ქალაქის 1950 წლის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მიენიჭა კ. ჩეხოევს.

ნ. ზადიშვილი

ფეხბურთი

## შავი ზღვის სანაპიროზე

მუდმივი გაზაფხულის ქალაქში — ბათუმში სპორტული გამოცოცხლებაა. წინასასეზონო საწვრთნელი ვარჯიშისათვის აქეთკენ მოისწრაფიან მრავალი სპორტული კოლექტივები.

11 მარტს შავი ზღვის ამ ულამაზეს კუთხეს ესტუმრნენ მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქების — რიგის „დაუგავას“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. აქ ისინი ჩაატარებენ ერთთვიან სასწავლო-საწვრთნელ ვარჯიშს, მოაწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს სხვადასხვა გუნდებთან. ორივე კოლექტივი შევსებულია ახალგაზრდა მზარდი მოთამაშეებით. გუნდებში კარგად არის დაყენებული პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა.

* * *

მახინჯაურში საწვრთნელ შეკრებას გადის სამხედრო-საზღვაო ძალთა ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელიც ინტენსიურად ემზადება მომავალი საკავშირო გათამაშებისათვის.

პ. სახეჩიძე
(ჩვენი საკ. კორ.).

ბათუმი.

## მატჩი „ზენიტთან“

**ლესელიძე** (გაგრის რაიონი). ამას წინათ „დინამოს“ სპორტული ბაზის სტადიონზე შედგა ამხანაგური მატჩი ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მწვავე ბრძოლით აღინიშნა და თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0.

უფრო დაძაბული იყო ძირითადი შემადგენლობების მატჩი, რომელიც კვლავ თბილისელებმა მოიგეს—2:1.

## თბილისის სპორტული კვირა

**26 მარტი.** ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ვვს — თბილისის ოფიცერთა სახლი (ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონი). დასაწყისი 3 ს.

**24-25-26 მარტი.** მოსწავლეთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში (მოჭიდავეთა დარბაზი — ორჯონიკიძის ქუჩა, 38). დასაწყისი დილით 11 ს., საღამოს 4 ს.

**25-26 მარტი.** პირად-გუნდური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე (პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასპორტო დარბაზი—სასწავლო შესახვევი, 2). დასაწყისი დილით 11 ს., საღამოს 7 ს.

**26-27-28 მარტი.** თბილისის პირველობა ქართულ ჭიდაობაში („ლოკომოტივის“ სასპორტო დარბაზი). დასაწყისი დილით 11 ს., საღამოს 7 ს.

**26 მარტი.** შეჯიბრება თბილისში საფეხბურთო სეზონის გახსნის ჯილდოზე. კალენდარული მატჩები ფეხბურთში; მძლეოსნობა (ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონი). დასაწყისი დილის 10 ს.

**27-31 მარტი.** კალენდარული მატჩები ფეხბურთში საფეხბურთო სეზონის გახსნის ჯილდოზე (ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონი, ლენინის სახელობის სტადიონი).

**24-31 მარტი.** საქართველოს მე-11 პირველობა ჭადრაკში. თბილისის მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში და შაშში (ქალაქის საჭადრაკო კლუბი — რუსთაველის პროსპექტი, 48). დასაწყისი საღამოს 7 ს.

## ევროპის სტადიონებზე

### ევროპის პირველობა ციგურებში

ჰელსინკში (ფინეთი) შემდგარი ევროპის პირველობა ციგურებში დამთავრდა ნორვეგიელ სპორტსმენის იალმარ ანდერსენის გამარჯვებით. მან ოთხი დისტანციიდან სამი მოიგო: 500 მეტრზე აჩვენა 46,1, 1.500 მეტრზე — 2:24,4, 5.000 მეტრზე — 8:32,4, 10.000 მეტრზე რბენაში ანდერსენმა დაიკავა მეორე ადგილი და უჩვენა 17:56,8 (პირველ ადგილზე გავიდა ნორვეგიელი რ. ლიაკლევი — 17:55,5). ანდერსენმა მოაგროვა 199, 313 ქულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ახალი ჩემპიონის შედეგები გაცილებით სუსტია (5.000 მეტრზე რბენის გამოკლებით) სსრ კავშირის ჩემპიონის ომსკელი მოციგურე ი. გოლოვჩენკოს მიღწევებზე (44,6; 2:23,3; 17:49,2; ქულათა ჯამი 197, 566).

### ე. ზატოპეკის პროგნოზები

მსოფლიო რეკორდსმენი 10.000 მეტრზე რბენაში ჩეხი ემილ ზატოპეკი სერიოზულად ემზადება მომავალი სეზონისათვის. ჩეხოსლოვაკიის გაზეთ „მლადა ფრონტას“ კორესპონდენტთან საუბარში, ლაპარაკობდა რა საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენის ზღვრულ შესაძლებლობებზე, მან განაცხადა: „ჩემის აზრით, მსოფლიო რეკორდი 1.500 მეტრზე რბენაში მიაღწევს 3:41,0 წუთამდე, ხოლო 5.000 მეტრზე რბენის ზღვარი 13:42,0 წუთი იქნება“. რაც შეეხება 10.000 მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდის ზღვრულ ციფრს, ზატოპეკმა დაასახელა არც თუ ისე მაღალი შედეგი 29:15,0 (მსოფლიო რეკორდია 29:21,2).

ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ ფინელმა მორბენალმა ვილიო ხეინომ პრესის ფურცლებზე განაცხადა: „ჩეხოსლოვაკიის სიამაყე ე. ზატოპეკი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მორბენალია, რომლისთვისაც ციფრი—29 წუთი არ არის ზღვრული“.

### ელ-მიმუნის გამოწვევა

ცნობილი ალჟირელი სპორტსმენი, საფრანგეთის რეკორდსმენი გრძელ მანძილებზე რბენაში ელ-მიმუნი ემზადება მომავალ სეზონში გამოვიდეს მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად ერთსაათიან რბენაში (19,339 კილომეტრი — ვ. ხეინო). შეჯიბრებამ რომ მეტი სპორტული ინტერესი გამოიწვიოს, მისი აზრით, საჭიროა ამ მძიმე გამოცდაში მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო რეკორდსმენებმა ფინელმა ვ. ხეინომ და ჩეხოსლოვაკმა ე. ზატოპეკმა.

### აშბოტი—უნგრეთის ჩემპიონი

უნგრეთის პირველობის ფინალმა ჩოგბურთში დახურულ კორტებზე მოგვცა შემდეგი შედეგები: აშბოტმა მოუგო კატონს — 6:2; 6:1; 6:1; ქალთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ხიდეშიმ, რომელმაც აჯობა პეტერდის — 5:7; 7:5; 6:2.

### პოლონეთის მოცურავეთა რეკორდები

ვარშავაში შეჯიბრებებზე გრემლოვსკიმ დაამყარა პოლონეთის ნაციონალური რეკორდი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში—5:04,2. შოლტანსკიმ 200 მეტრი ბრასის სტილით გაცურა 2 წუთსა და 51,8 წამში, რაც აგრეთვე პოლონეთის ახალი რეკორდია.

### უნგრეთი — საფრანგეთი

უნგრეთისა და საფრანგეთის უძლიერეს მოფარიკავეთა მატჩი დამთავრდა უნგრელების გამარჯვებით—10:6.

თ. სერგიაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია გადავიდა ახალ ბინაში**

მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი, 12, II სართული.

გაზეთი გამოდის პარასკეობით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტირაჟი 15.000

უჰ 02437